



## ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №-07

2011 წლის 25 თებერვალი  
ქ. ქობულეთი

### „ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 3 სექტემბრის №12 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და ა ა დ გ ი ნ ა:

1. „ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 3 სექტემბრის №-12 დადგენილებაში ( სსმ №-27 20.09.2010 წ. მუხ.750 ) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

2. მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. ადმინისტრაციული სამსახურის შემადგენლობაში შედის ასევე:

ა) გამგებლის თანაშემწე;

ბ) მთავარი სპეციალისტი.

3. ამოღებულ იქნას თავი V.

4. მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. განყოფილების უფროსის არყოფნისას, უფროსის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი გადადგომისას ან/და გათავისუფლებისას უფროსის მოვალეობის შესრულება გამგებლის სამართლებრივი აქტის საფუძველზე დროებით ეკისრება განყოფილების მთავარ სპეციალისტს.

5. მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ამ დებულების შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სამტატო ნუსხით განყოფილების შემადგენლობაში დგინდება შემდეგი თანამდებობები:

ა) განყოფილების უფროსი;

ბ) მთავარი სპეციალისტი;

გ) წამყვანი სპეციალისტი.

6. მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. განყოფილების უფროსის არყოფნისას, უფროსის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი გადადგომისას ან/და გათავისუფლებისას უფროსის მოვალეობის შესრულება გამგებლის სამართლებრივი აქტის საფუძველზე დროებით ეკისრება ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს”

6. მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 17.

ამ დებულების შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სამტატო ნუსხით განყოფილების შემადგენლობაში დგინდება:

ა) განყოფილების უფროსი;

ბ) ტექნიკური პერსონალი;

გ) მძღოლი;

დ) დამლაგებელი.

7. მე-VIII თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი VIII. გამგებლის თანაშემწე“.

8. მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 18.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის შემადგენლობაში შედის ასევე გამგებლის თანაშემწე, რომლის რაოდენობა განისაზღვრება ადმინისტრაციული სამსახურის საშტატო განრიგით.“

9. ამოღებულ იქნას მე-20 მუხლი.

10. ამოღებულ იქნას თავი IX.

11. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე